ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაი!

კოლხეთი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2018 ᲬᲔᲚᲘ №1-2 (9424-25) 1-31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲔᲗᲠᲘ

კალენდარზე იანვარია
7 იანვარი- შობა

შობა უდიდესი რელიგიური დღესასწაულია. მას მეორე აღდგომასაც უწოდებენ. ეკლესიის მოძღვრები გვასწავლიან, რომ ქრისტიანული დღესასწაული ადამიანის სულის მომზადებაა ზეციური სასუფევლისთვის. შობა დიდებული, საყოველთაო დღესასწაულია და მას განსაკუთრებული სიხარული მოაქვს. მაგრამ ის არ ნიშნავს ზღვარდაუდებელ დროსტარებას ან ჭამა-სმას. შობის ამგვარად გა-



ტარება მისი რელიგიური მნიშვნელობის - ადამიანის სულიერი აღდგენისა და განახლების - უგულებელყოფაა და სულიერი სარგებლის ნაცვლად ყალბ ემოციებს სძენს ადამიანს. ესაა შობა ქრისტეს გარეშე, ხორციელი სიხარული სულიერის გარეშე.

ქრისტეშობის დღესასწაული მოციქულებმა დააწესეს, ხოლო IV საუკუნეში, როცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა, - მსოფლიო ეკლესიამაც.

სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა მოქმედ ტაძარში საზეიმოდ აღინიშნა შობა.

19 იანვარი
ნათლისღება



სახარების მიხედვით, ეს დღესასწაული უკავშირდება მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემლის მიერ მაცხოვრის ნათლისღებას, ანუ მონათვლას, სწორედ ამ დღიდან იღებს სათავეს ნათლობის წესი და პირველი საეკლესიო საიდუმლო.

როცა განკაცებული მაცხოვარი იორდანეში შევიდა, წყალი იკურთხა. ამიტომ იესო ქრისტეს ნათლისღებას წყალკურთხევას უწოდებენ.

14 იანვარი- კალანდა
(ძველი სტილით ახალი წელი)

კალანდა, ძველი სტილით ახალი წელი 14 იანვარს აღინიშნება. სამეგრელოში ამ დღეს ოჯახის უფროსი ქალი აცხობდა მჭადს, რომელშიც ღორის ქონი იყო გარეული. ასევე ცხვებოდა პური, რომელზეც გამოსახული იყო ყურძნის მტევანი, ხელის საფქვავის ქვა, ბარი, ბეღელი, კრუხი. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შინაურ და გარეშე მეკვლეს, რომელსაც „მაკუჩხური" ეწოდებოდა. აუცილებელი საახალწლო ელემენტი იყო თხილის ხვიხვილი, შქერი და წყავი. გარეშე მეკვლის ფეხზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი წელი დაებედებოდა ოჯახს.

მუნიციპალიტეტის ამბები

მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუშაოები

სენაკში, ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარედ, მდინარე ტეხურის გასწორხაზოვნებისა და ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები ხორციელდება. პროექტის მიხედვით, უკვე დასრულდა მდინარე ტეხურის გასწორხაზოვნება 500 გრძივ მეტრზე. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები მდინარის დინების მიმართულების მარცხენა მხარეს 420 გრძივ მეტრზე, აგრეთვე ქვანაყარი ბერნის მოწყობა მდინარის დინების მარჯვენა მხარეს 90 გრძივ მეტრზე. პროექტის ღირებულება, რომელსაც რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს შეადგენს 327 000 ლარს. სამუშაოები, რომელიც 2017 წლის 11-12 ივნისის წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციის ფარგლებში მიმდინარეობს, გასული წლის ოქტომბერში დაიწყო და უახლოეს მომავალში დასრულდება. დასაქმებულია 30 ადგილობრივი მოსახლე. მასშტაბური სამუშაოების დასრულების შემდეგ საგრძნობლად შემცირდება მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დატბორვის და ნაპირის ჩამოშლის საშიშროება. 2013 წლიდან დღემდე , მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდა 2 878 გრძივ მეტრზე, რომლის ჯამურმა ღირებულებამ 2 982 760 ლარი შეადგინა.

რკინიგზის სადგურის რეაბილიტაცია

დასკვნით ფაზაში შევიდა სენაკის რკინიგზის სადგურის სრული რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში უკვე დასრულებულია შენობის სახურავის შეკეთება, სრულად განახლდა ელექტროგაყვანილობა და მიწისქვეშა კომუნიკაციები, შეიცვალა კარ-ფანჯრები. აქტიურად მიმდინარეობს გარე ფასადისა და ინტერიერის სრული რეაბილიტაცია. უახლოეს პერიოდში კეთილმოეწყობა სადგურის მიმდებარე ტერიტორია, დამონტაჟდება გარეგანათების თანამედროვე სისტემა. სამუშაოები, რომლის ღირებულება 134 999 ლარს შეადგენს, ხორციელდება საქართველოს რკინიგზის შვილობილი კომპანიის შპს „ჯიარ ქონების მართვის" დაფინანსებით. სამუშაოებზე დასაქმებულია 30 ადგილობრივი მაცხოვრებელი. სამუშაოების დასრულების შემდეგ, გასული საუკუნის 50-იან წლებში აგებული ქალაქის არქიტექტურულად ერთ-ერთი გამორჩეული შენობა - სენაკის რკინიგზის სადგური სრულად დააკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მასშტაბის სამუშაოები რკინიგზის სადგურს დღემდე არ ჩატარებია

საშობაო ნობათები „ლაზარე-2015„-ის აღსაზრდელებს

შობის ბრწყინვალე დღესასწაული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ დღის ცენტრ „ლაზარე-2015" -ის 15 ბენეფიციარს საშობაო ნობათებით მიულოცეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნატალია ხუბუამ. აღსანიშნავია, რომ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 38 მოზარდის დაფინანსება, რომელთა შორის ცენტრ „ლაზარე-2015"-ის ბავშვებიც არიან, წელიწადში ორჯერ ხორციელდება. ქვეპროგრამების ამოცანაა ბენეფიციართა ვითარების სტიმულირება, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება. ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება მათი სამედიცინო მომსახურეობისა და რეაბილიტაციის ხარჯები.

სამუშაოები ნოქალაქევში

ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლებაღათურეჯოლევის საავტომობილო გზის გასწვრივ, ჩატარდა სანიაღვრე არხის შლამისა და ინერტული მასალებისგან ამოწმენდის სამუშაოები. არხის ამოწმენდა, მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილის დავალებით განხორციელდა, რომლის შედეგადაც მოხსნილია საავტომობილო გზის ჩამორეცხვისა და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის საშიშროება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სამუშაოები, გზის ამ მონაკვეთზე, წლების განმავლობაში არ ჩატარებულა. სამუშაოები მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გამწვანების მოვლა-პატრონობის ცენტრმა შეასრულა.

გაგრძელება მეორე გვერდზე

ცხოვნა

სამადლობელი
(ეთერ ახალაია)

თეთრი,სპეტაკი საყელო, სიმბოლურად რომ გამოხატავდა სულიერებას,ბავშვების სიყვარულით სავსე თვალები, საქმისადმი ერთგულება და პასუხისმგებლობა - აი,როგორი ახსოვთ და ემახსოვრებათ დახვეწილი, გაწონასწორებული ქალბატონი, პირველი საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ეთერ ახობაძე-ახალაია.

88 წელი..... წუთისოფელი სავსე სიხარულით, სიყვარულით,ბედნიერებით... 21 წლისამ შეაღო №1 საჯარო სკოლის კარები და დაიწყო დაუვიწყარი გაკვეთილები - სიყვარულის,სიკეთის,თავმდაბლობისა და ქართველობის მასწავლებელი. ვინ იცის,რამდენი თაობა აზიარა „დედაენის“ მადლს... ყოველ თაობასთან რადაც ახალი იქმნებოდა და იწერებოდა ცხოვრების წიგნში,რასაც ქალბატონი ეთერი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ამადაც იყო მისაბაძი მასწავლებელი, დედა და მეუღლე.

არიან ადამიანები, რომლებიც ვარსკვლავივით გაიბრწყინებენ წუთისოფელში და შემდეგ სამუდამოდ რჩებიან აღზრდილთა, კოლეგათა თუ თანამოქალაქეთა მეხსიერებაში. ასეთ პიროვნებას დაემშვიდობა სენაკის №1 საჯარო სკოლა და თითოეულ მასწავლებელს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სკოლის მატიანეს ეთხოვებოდა. დიახ! ქალბატონი ეთერი 1958 წლიდან 2008 წლამდე იღვწოდა №1 საჯარო სკოლაში. ორ საუკუნეში მოღვაწე ქალბატონი ყველასთვის მისაბაძი იყო, უყურებდნენ, უსმენდნენ, სჯეროდათ. სკოლიდან წავიდა, მაგრამ სკოლა არ წასულა მისი ფიქრებიდან, განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებს ქალიშვილებისგან იგებდა. ღვაწლმოსილი პედაგოგების, შალვა ახალაიასა და ეთერ ახობაძის ოჯახში ხომ ორი ღირსეული პედაგოგი აღზარდა, ქალბატონები - ლია და ლეილა ახალაიები. ტრადიცია გრძელდება, შთამომავალნი ღირსეულად მიჰყვებიან წინაპართაგან გავლებულ თეთრ ხაზს...

ახლა ზამთარია და თქვენი ოთახი ვერ იტევს ვარდებს..... მოდიან თაობები-ბაბუები, შვილები,შვილიშვილები... იწვის კელაპტარი და ზეცისკენ მიდის სამადლობელი, რომ იყავით და იქნებით!

სენაკის №1 საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი

დღემდე მოგვყვება მისი ამაგის მადლი

ჩვენი დაუვიწყარი პირველი მასწავლებელი, სამაგალითო პედაგოგი, ქალბატონი ეთერ ახალაია იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით და მოღვაწეობით ნათელ კვალს ტოვებენ წუთისოფელში.. ცნობილი პედაგოგების აღმზრდელი სამაგალითო დედა, მეუღლე და პედაგოგი, სათნოებით აღსავსე უკეთილშობილესი ქალბატონი - ასე ვიცნობდით მას.

ქალბატონი ეთერი უფაქიზესი პედაგოგიური ალღოთი შეგვიძღვა ცოდნის სამყაროში, საოცარი სითბო და პროფესიონალიზმი იყო ის მეთოდი, რომლითაც გამოარჩევდით მას პატარა აღსაზრდელებთან ურთიერთობაში. მრავალი თაობა ღირსეულად გამოზარდა და ჩვენც მათ შორის დღემდე მოგვყვება მისი ბრძნული დამოძღვრის მადლი. ჩვენი პირველი რეალური შეხება ცხოვრებასთან, ცოდნის სამყაროსთან, ამ შესანიშნავი პიროვნების ალერსიან ხმასთან, ღიმილით გაშუქებულ დარიგებებთან ასოცირდება. ჩვენს ბავშვურ ცნობიერებაში მის მიერ სიყვარულით ჩაყრილი მაღალზნეობრივი საფუძველი საგზლად მიგვყვება მთელი ცხოვრების მანძილზე.

მადლობელი ვართ, ღვაწლმოსილო ქალბატონო, ჩვენთვის გაწეული დიდი ამაგისთვის. უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს თქვენს კეთილშობილ სულს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

სენაკის პირველი საშუალო სკოლის
1986 წლის კურსდამთავრებულები

სენაკის მუნიციპალიტეტის „საინფორმციო ცენტრის” და გაზეთ „კოლხეთის: თანამშრომლები თანაუგრძნობენ სენკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორს დარეჯან ზარანდის დედის

ნესტან სალაყაია-ზარანდიას

გარდაცვალების გამო

სენაკის მუნიციპალიტეტის „საინფორმციო ცენტრის” და გაზეთ „კოლხეთის: თანამშრომლები თანაუგრძნობენ გია კალანდიას მამის

გივი კალანდიას

გარდაცვალების გამო

სენაკის მუნიციპალიტეტის „საინფორმციო ცენტრის” და გაზეთ „კოლხეთის” თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინა ბერიძეს მამის

პეტრე ბერიძეს

გარდაცვალების გამო

სენაკის № 1 საჯარო სკოლის 8ბ კლასის დამრიგებელი ქეთევან ძაგანია, მოსწავლეები და მშობლები თანაუგრძნობენ ლია ახალაიას დედის

ეთერ ახობაძე-ახალაიას

გარდაცვალების გამო

გიგა ინალიშვილი

მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა ამქვეყნად.

უზომო სულის ტკივილია უშენობა და ძნელია შენზე წერა, როცა მოგონებად ხარ ქცეული.

ჩვენო უდროოდ წასულო გიგა, იმ საბედისწერო დღეს,22 ნოემბერს უფალმა სამოთხის კარი გაგიღო 9 იანვარს კი ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. უსაშველოდ გრძელი გამოდგა ეს ერთი წელი უშენოდ. ცხოვრება ახლა გიხაროდა,მაგრამ არ დაგაცალეს, 35 წლისას მოგისპეს სიცოცხლე და ობლად დატოვეს გაბრიელი,რომელიც შენ ღირსეულ შვილად გაიზრდება. აუსრულებელი ოცნებებით დაადექი სასუფევლის გზას ჩვენ კი დაგვიტოვე მხოლოდ უსასრულო სევდა, გაყინული საფლავის ქვიდან მომზირალი შენი თბილი სახე და თვალები.

ვინ თქვა დრო მკურნალიაო - პირიქით ძლიერი მონატრებაა. შენი დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს დრო ვერ გააყუჩებს. მონატრება,რომელსაც შენი სახელი ჰქვია ყოველდღე უფრო მტკივნეული და გაუსაძლისია.სიცარიელეა ჩვენს გულებში. გეძახით და ვერ გაწვდით ხმას. შეუხორცებელ ჭრილობად გვაქვს შენი არყოფნა, რომელიც მუდამ დაწყლულებულია. უშენობა მხოლოდ ცრემლებს ბადებს. ულმობელმა სიკვდილმა ერთმანეთს ფიზიკურად დაგვაშორა,მაგრამ შენ მაინც ჩვენთან ხარ და ჩვენს გულებში აგრძელებ სიცოცხლეს, ჩვენთვის მარად უკვდავი ხარ შენი მოგონებებით.

დღესაც გულმხურვალედ შევთხოვთ უფალს ნათელში გამყოფოს და შეგიფაროს, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა. შენი სულის მოსაგონებლად ყოველთვის იციმციმებს ჩვენგან დანთებული სანთლები. გვწამს, შენი თანადგომა, რომელიც ამქვეყნად მოგვაკლდა, უხილავად გაგრძელდება, ჩვენი ლოცვა კი მუდამ გაგინათებს გზას.

ოჯახი

მამას, ისაკი კირცხალიას

მამა, გილოცავთ, შენ ასი წლის გახდი. საუკუნე მიილია შენი დაბადებიდან. ცოტანი არიან დარჩენილები, ვისაც ცოცხლად ახსოვხარ, მაგრამ არიან, ახსოვხართ, უყვარხართ და გაფასებენ.

ჩვენ, შენი შვილები, ვცდილობთ ჩვენი წილი ცხოვრება ისე გავატაროთ, როგორც შენ გაგიხარდებოდა და იამაყებდი.

შვილიშვილებს კი მოესწარი, მაგრამ ისინი ისეთი პატარები იყვნენ შენი გარდაცვალებისას, რომ უფრო მონაყოლით და გაგონილით თუ იციან, ვინ იყო მათი ბაბუა. სიამაყით მიდიან შენს საფლავზე და მოაქვთ შენთვის ის სითბო და სიყვარული, რაც გეკუთვნის და დაიმსახურე.

შენმა ცხოვრებამ რთულ პერიოდში განვლო. ომის სიდუხჭირე. არ გიყვარდა ამ რთული პერიოდის გახსენება, რადგან ტკივილიანი იყო შენთვის ორი ძმა, რომელიც ამ ომს შეეწირა და უამრავი თანამებრძოლი. შენ სასწაულით გადაურჩი სიკვდილს, როცა დაიჭერი ეტყობა ეს ყველაფერი ღვთის ნება იყო, რათა მხარში დადგომოდი ომის შემდგომ პერიოდში უამრავ ქვრივ-ობოლს, რომელთაც ოჯახის წევრები დაკარგეს. ერთი დაკარგული ძმის სახელი დაარქვი შენს უმცროს ვაჟს – ვლადიმერს, ის დღესაც იმ ფუძეს და სახლ-კარს უვლის, რომელსაც შენ ჩაუყარე საფუძველი, უვლის შენს საფლავს, ეფერება შენს სახელს.

ღვთის ნება და სურვილი იყო ალბათ ისიც, რომ შენმა ოჯახმა ითავა შენს მშობლიურ ნოსირში აღდგომის სახელობის ტაძრის აგება და ამით ყველამ, შენი ოჯახის წევრებმა, გამოვხატეთ მადლიერება მშობლების, რაიონის, სოფლის მოსახლეობის წინაშე.

სამაგალითო იყო შენი და შენი მეუღლის ტატიანა ხურცილავას ურთიერთობა, ნათელში გამყოფოთ ღმერთმა ორივენი წმინდა სასუფეველში.

განსაკუთრებული ურთიერთობა გქონდა დედასთან ქალბატონ მინდარა მიმინოშვილთან, რომელმაც ახალგაზრდობაში დაკარგა ქმარი სიმონ კირცხალია და შემდეგ ხუთი შვილი, სამი ომის პერიოდში ვამაყობთ შენს მიერ განვლილი გზით და ცხოვრებით, რადგან ჩვენ დღესაც, მიუხედავად ჭარმაგი ასაკისა, ბევრი მოგვართავს-შენ ისაკი და ტატიანას შვილი არ ხარო?

მარადიულ სამყოფში გილოცავთ 100 წლის იუბილეს.

შენი შვილები

ისაკი კირცხალია

ხსოვნა, რომელსაც ვერ წაშლის დროის ვერავითარი დინება. თავმდაბალმა, თავაზიანმა, გულწრფელმა, ჭირსა და ლხინში მოყვასთა თანამდგომმა, სამამულო ომში ჭირ-ვარამგამოვლილმა, წლების განმავლობაში რაიკომში ინსტრუქტორად, შემდეგ ხალიჩების კომბინატის მუშამ, კაცურ კაცობით და სამართლიანობით ცნობილმა, ღირსეულად ჩააბარე წუთისოფელს გამოცდა. მოულოდნელად 67 წლის ასაკში გადაბრძანდი ღვთის საუფლოში, არადა წელს 100 წელი შეგისრულდებოდა.

გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გვეამაყები და გმადლობთ.

გჯეროდეს შენი არდავიწყების კანდელი მარად იციმციმებს.

გული კირცხალია

მალინა ტყებუჩავა - ზარანდია

კეთილი და სათნო ქალბატონი იყავი. გულის სითბოს ერთნაირად უნაწილებდი ოჯახის წევრებს, ახლობლებს.

რვა შვილის, მრავალი შვილიშვილისა და შვილთაშვილების დედამ, ბებიმ, დიდმა ბებიამ ღირსეულად მოიხადე ვალი ოჯახის წინაშე.

თანადგომის, სიყვარულის, ურთიერპატივისცემის მაგალითს აძლევდი ყველას.

40 დღე გავიდა მალინა ტყებუჩავა-ზარანდიას გარდაცვალებიდან, ასაკის მიუხედავად აკლიხარ შენს შვილებს. რუსუდანი თვალზე ცრემლმოდენით საუბრობს დედის გულმოწყალებაზე, გაწეულ ამაგზე. შენს შვილებს ნამდვილად შეუძლიათ იამაყონ დედის განვლილი ცხოვრებით.

ქალბატონი მალინა რწმენით ცხოვრობდა... იმ რწმენით წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მიწიერი ცხოვრებით ყველაფერი არ მთავრდება.... სიცოცხლე გრძელდება მის მრავალრიცხოვან შთამომავლებში.

იძინე მშვიდად, ვალმოხდილო ქალბატონო, გვჯერა უსათუოდ ნათელში დაივანა თქვენმა სულმა.

შთამომავალთა დანთებული თაფლის სნთლები გაგინათებს სამარადჟამო სამყოფს

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და სასაფლაოების
მოვლა-პატრონობის ცენტრის თანამშრომლები

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო სართანია
რედაქტორი: მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103 ტელ: 27 61 50
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ.ფოთში შპს „ირიდა„-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 0 (493) 22 24 33

მუნიციპალიტეტის ამბები
დასასრული

ᲐᲚᲘᲚᲝ ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ

სენაკში გაიმართა საშობაო ალილოს ტრადიციული მსვლელობა, რომელშიც სასულიერო პირები, მრევლი, საჯარო სამსახურებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მსვლელობას ქუჩებში მოსახლეობა უერთდებოდა. შობის მახარობლებმა მსვლელობა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიიდან დაიწყეს, ისინი გალობით ულოცავდნენ ყველას ქრისტეშობის დღესასწაულს. თანაქალაქელებს შობის დღესასწაული მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბადათურიამ თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად მიულოცეს. მეალილოეებმა მსვლელობისას შემოწირული ნობათი სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადასცეს.

ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲜᲝᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბადათურია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნატალია ხუბუა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ეწვივნენ და შობა-ახალი წლის დღესასწაულები ტკბილეულობითა და სასურსათო პაკეტებით მიულოცეს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ 3 მოქალაქეს: ნადია ანთიას - ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში და ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში - ტონია მირცხულავასა და ნათელა გოგიას. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულთა სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, მოხუცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 100 წელი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველკვარტალურად გადაეცემათ ფულადი დახმარება. დღესვე, საშობაო საჩუქრად სასურსათო ნობათები დაურიგდა 46 მრავალშვილიან ოჯახს. ასევე, დედ-მამით ობოლ ოთხ მოზარდს და მათ მეურვეებს. მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან, მრავალშვილიან ოჯახებზე და დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარების პროგრამების ფარგლებში, თითოეული მათგანი კვარტალურად ფულად დახმარებას დებულობს.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲔᲜᲐᲙᲖᲔ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲗᲐᲜ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი და მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბადათურია შეხვდნენ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გამწვანების მოვლა-პატრონობის, ასევე, დასუფთავებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრების წარმომადგენლებს. მერმა სენაკზე ზრუნვისთვის მადლობა გადაუხადა მათ და დამდეგი ახალი წელი მიულოცა. - სენაკისთვის მზრუნველ ჩვენს მუშაკებს, იმ თანამშრომლებს, რომლებიც დღისით და ღამით, ყოველგვარ პირობებში, ფიზიკური შრომით ჩვენი მოქალაქეებისთვის ქმნით ცხოვრების ნორმალურ პირობებს, ყველაზე საჭირო ადამიანებს სენაკისთვის, განსაკუთრებული პატივისცემით მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წლის დღესასწაულები და თითოეული სენაკელის სახელით მადლობა გადაგიხადოთ გაწეული უმნიშვნელოვანესი სამსახურისთვის - აღნიშნა ლევან კუპრეიშვილმა მათთან შეხვედრისას.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა 2017 წლის წარმატებულ სპორტსმენთა, მწვრთნელთა და მოქმედ ვეტერან სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალი. სპორტული მიღწევებით გამორჩეულ სპორტსმენებს და მწვრთნელებს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბადათურიამ და სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის წარმომადგენლებმა გადასცეს სიგელები და ფასიანი საჩუქრები. დაჯილდოების ცერემონიალი მუნიციპალიტეტის სპორტული მიღწევების ერთგვარ შემაჯამებელ ღონისძიებას წარმოადგენს, სენაკის 2017 წლის წარმატებულ სპორტსმენად დასახელდნენ: ლუკა ონიგავა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), გიორგი ჩხიკვაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), გიორგი დავითაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), საჩინო დავითაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), გიორგი ჭაავა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), გიორგი ჭანტურია (ჭადრაკი), ლუკა ნაჭყებია (ჭადრაკი), ნიკოლოზ კვარაცხელია (ჭადრაკი), ანანო კინწურაშვილი (ძიუ-დო), ბექა ხუნწარია (ტაეკვონ-დო), ივიკო გუგუნავა (კრივი), გიორგი კუპრეიშვილი (კრივი). წარმატებულ ვეტერან სპორტსმენებად დასახელდნენ: გია ლატარია (კარატე-დო), ელგუჯა ჩემია (კარატე-დო). წლის წარმატებული საფეხბურთო გუნდი გახდა „ეგრისი" 10, რომელიც სამეგრელოს რეგიონის ჩემპიონი გახდა. საფეხბურთო გუნდ „ეგრისის" ფეხბურთელები დიმიტრი იოსელიანი და საბა ჩიქოვანი დასახელდნენ,როგორც აღნიშნული ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი და საუკეთესო ნახევარმცველი. წლის წარმატებულ მწვრთნელებად დასახელდნენ: გრიგოლ მიქავა (ფეხბურთი), ილია ცაავა (კრივი), ზურაბ ლიფონავა (ჭადრაკი) და რამაზ კოკაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). ღონისძიების ბოლოს საკუთარი ნომინანტები დაასახელა და სპორტსმენებს სამეგრელოს რაგბის რეგიონალური ფედერაციისა და სამეგრელოს ოლიმპიური კომიტეტის სახელით შესაბამისი საჩუქრები გადასცა სამეგრელოს რაგბის ფედერაციის თავმჯდომარემ, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის სამეგრელოს რეგიონის თავმჯდომარემ დავით კილასონიამ.

ᲜᲝᲑᲐᲗᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲪᲕᲚᲘᲚᲘᲡ

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელით, ამავე სააგენტოს სამეგრელო, გურია, ზემო-სვანეთის მომსახურეობის ცენტრის უფროსმა გოჩა კანკავამ, ცენტრის თანამშრომლებმა და მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბადათურიამ საახალწლო ნობათი გადასცეს და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს სენაკში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახს.

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲜᲝᲑᲐᲗᲘᲡ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲪᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ

სენაკის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბადათურიამ და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა ცენტრის 140 ბენეფიციარს საჩუქრად სასურსათო პაკეტები გადასცეს და შობა-ახალი წელი მიულოცეს.

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲯᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲣᲨᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠ ᲦᲐᲛᲔᲡ

ვარსკვლავთცვენა ახალი წლის ჯადოსნურ ღამეს... მას შემდეგ, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტში პირველად გაიმართა ფოიერვერკული, საახალწლო გალა-კონცერტი, თვეზე ნაკლებმა განვლო. ემოციები კი არ დამცხრალა, არ განელებულა... სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ლევან კუპრეიშვილმა ბრწყინვალე ჩანაფიქრი რეალობად აქცია და სენაკელებს დაუვიწყარი, ჯადოსნური საღამო აჩუქა. 31 დეკემბერს, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები: ანრი ჯოხაძე, სოფო ბედია, თაკო გაჩეჩილაძე, ნინი ბადურაშვილი, გიორგი პავლიაშვილი (მასტერი) და „ნიჭიერის" ფინალისტი გიორგი ცისკაძე. საღამოს წაყვანა, მომღერალმა და შოუმენმა, ანრი ჯოხაძემ იტვირთა. ქალაქის ცენტრში თავი მოეყარა ნამდვილ შოუს მოწყურებულ, ყველა თაობის სენაკელს. საოცარი სითბო, უშუალობა, გულწრფელობა, განსაკუთრებული განწყობილება სუფევდა. შემსრულებლები ასრულებდნენ ქართულ და უცხოურ ჰიტებს, დამსწრე საზოგადოება კი შეწყობილი რიტმით მიყვებოდა მათ. ახალი წლის დადგომამდე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ლევან კუპრეიშვილმა, სრულიად საქართველოს, სენაკიდან დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა: „ძვირფასო სენაკელებო, სენაკში მცხოვრებო აფხაზეთის შვილებო, ემიგრანტო თანამემამულეებო! სულ რამდენიმე საათში შემოაბიჯებს ახალი იმედებით და მოლოდინებით აღსავსე ახალი წელი. გილოცავთ ამ ულამაზეს დღესასწაულს. დაე, მას თქვენი ოჯახებისთვის, თითოეული თქვენგანისთვის სიკეთის ქმნის სურვილი და შესაძლებლობა, წარმატებები საზოგადო და პირად ცხოვრებაში, ბედნიერება, ხვავი, ბარაქა, მშვიდობა, ძეთა და ასულთა სიმრავლე, ჩვენი ქვეყნის გამთლიანება და გაძლიერება მოეტანოს. 2018 წელი სენაკის მუნიციპალიტეტისთვის სასიკეთო სიახლეების წელი გახდება. მჯერა, რომ ჩვენი ერთობლივი შრომით საფუძველი ჩაეყრება მუნიციპალიტეტის ყოველმხრივ განვითარებას, რაც თითოეულმა სენაკელმა მაქსიმალურად უნდა გაითავისოს, რადგან მნიშვნელოვანი საქმის კეთება მხოლოდ ერთიანი ძალისხმევითაა შესაძლებელი. მრავალ ახალ წელს ახალი გამარჯვებით, მხნედ და ბედნიერად შეხვედროდეთ!" საღამოს მონაწილეები ვერ მალავდნენ ემოციებს და გამოგვიტყდნენ კიდეც, რომ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა! შთაბეჭდილებებით დატვირთული ახალგაზრდები კი სენაკის მერს მადლობას უხდიდნენ. ვარსკვლავცვენით გამორჩეული გალა-კონცერტი საუკეთესო საახალწლო განწყობილებით და ულამაზესი ფოიერვერკით დასრულდა.

დაე, დაებედოს ჩვენს ქალაქს სიხარული, ბედნიერება, მატერიალური დოვლათი, მშვიდობიანი ცის ქვეშ ცხოვრება, ტკბილად აგხდენოდეთ ყველას ახალი წლის ჯადოსნური ღამის სიზმარი.

Შ. ᲩᲐᲩᲘᲑᲐᲘᲐ

ᲡᲐᲕᲔᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲔᲑᲘ

„სიძველისადმი გრძნობა, პატივი,
თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს“. . .

მუზეუმის სოცოცხლის უნარიანობა მის პროექტებშია, რომლითაც ხდება ფონდში დაუნჯებული ფასეულობების ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა.

2008 წლიდან მოქმედი პროექტის - „ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას“ მიზანია კუთხის ისტორიის შესწავლა, რომლის ფარგლებში მუზეუმთან ერთად ჩართულია სკოლები, საბიბლიოთეკო დაწესებულებები. მათთან ურთიერთობით, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებებით ბევრი სამუზეუმო მასალა შემოვიდა ფონდში.

ნოქალაქევზე მოძიებული მასალების პრეზენტაციას მიეძღვნა 2017 წლის 20 დეკემბერს მუზეუმში ჩატარებული ღონისძიება;

ნოქალაქევის ნაქალაქარზე ახალი რა უნდა თქვა, მაგრამ იქ ცხოვრობს ხალხი თავისი წარსულით და ყოფითი კულტურით, რომლის შესწავლასა და მოძიებაში მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად აქტიურად ჩაერთო ნოქალაქევის საჯარო სკოლა. სკოლის დირექტორის შორენა შამათავას, პედაგოგის ნინო ჯიშკარიანის, მოსწავლეახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სპეციალისტის ნატო საჯაიას, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველის გრიალა ანთიას, ამავე მუზეუმის მეცნიერ-მუშაკის მაია ლაშქარავას შემადგენლობით შედგა ნოქალაქევის წარსულზე მასალების მოკვლევის გეგმა.

მოსწავლეებმა ნინო ჯიშკარიანთან ერთად კარდაკარ შემოიარეს სოფელი, შეხვდნენ უხუცესებს, სხვადასხვა სფეროში ნამუშევარ ადამიანებს, დააფიქსირეს მნიშვნელოვანი ადგილები, მოძიებული მასალების საფუძველზე მოეწყო გამოფენა, შედგა ფოტოალბომი, წიგნად აიკინძა „ჩემი სოფლის ისტორია“.

მასალების თემატურად და ტექნოლოგიურად აწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ჟიული შარტავას მუზეუმის თანამშრომელმა თეიმურაზ რეკვავამ.

ღონისძიებაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი რეზო ჯანჯღავა.

მოკვლევითი მუშაობის შედეგებზე ისაუბრა გრიალა ანთიამ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კულტურისა და განათლების სფეროს წარმომადგენლები, ნოქალაქევის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, ექიმი ნანა ჯიჯიხია, სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლის მე-11ა კლასის მოსწავლეები(დირექტორი დემნა ჭანტურია, კლასის ხელმძღვანელი გული ბარკალაია).

საპრეზენტაციო თემები ძირითადად შედგა სოფლის მკვიდრების, მირიკო კაკულიას, ვაჟა წულაიას, ბორის ბაღათურიას, ბიჭიკო გვასალიას, ვალიკო ცანავას, და სხვათა ნაამბობით.

VII კლასის მოსწავლე გიორგი ჩიჩუა დამსწრეთა წინაშე წარსდგა ნიკოლოზ ადამიას ლექსით „დედამოკა“

ციხე-გოჯთან ადგილია,
ეძახიან „დედამოკა“-ს
მისი ხილვა მყის აღმიძრავს,
წარსულ დროთა მოგონებას. . .

მოსწავლეებმა: ლიზი ღაღანიძემ, ანი კანკავამ, კესო კაკულიამ მონაცვლეობით ისაუბრეს სოფლის ისტორიულ-გეოგრაფიულ მდებარეობაზე, მათი წარმოდგენით ნოქალაქევში მოხვედრილი ადამიანი არჩევანის წინაშე დგება, დარჩეს ბუნების სილამაზესთან თუ წარსულის ლაბირინთებს გაჰყვეს იდილიურ სამყაროში.

საინტერესო იყო ვიკა ცხვედიანის საუბარი სოფლის ტოპონიმების ეტიმოლოგიაზე, აქვე ორმოცმოწამეთასა და დედამოკასთან დაკავშირებული ლეგენდებით ჩაერთო ანი კუპრეიშვილი.

შეიძლება ბევრი ილაპარაკო სოფელზე, მაგრამ გვერდს ვერ აუვლი ნოქალაქევის ნაქალაქარს.

ანუელა ბესელია მოკლე ისტორიულ ექსკურსს აკეთებს ფარნავაზ-ქუჯის ეპოქიდან ვიდრე მურვან ყრუს მიერ ციხე-გოჯ-არქეოპოლისის დანგრევამდე, შემდგომ ყურადღება გადააქვს არქეოლოგების მიერ შესწავლილ მიწისზედა და მიწისქვეშა მონაპოვრებზე, რომლებიც თავის სიტყვას ამბობენ საქართველოს ისტორიაში.

ვიკა ჩვამანიას თქმით მწვანე ხიდი ადრეულ საუკუნეებში ყოფილა გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ხიდი, ადგილობრივები მიმდებარე ტერიტორიას „ხიდეშდუს“ ეძახიან. ეს ადგილი მოსახლეობის თავშეყრისა და გართობის ადგილი ყოფილა, აქ ირჩეოდა საქეყნო თუ სასოფლო ამბები.

ქართველ გლეხს დასაბამიდან მოსდგამდა დასვენებისა და გართობის კულტურა, მაგრამ მისი ცხოვრების არსი მიწასთან იყო დაკავშირებული.

ალიკა ჩვამანიამ გაგვაცნო ადგილობრივების ნაამბობი, თურმე წინათ სოფელში ითესებოდა სხვადასხვა ჯიშის მარცვლეული და ტექნიკური კულტურები, რომლებიც დღეს გადაშენებულია. სოფელმა გამოიარა კოლექტივიზაცისა და საბჭოთა მეურნეობის პერიოდი, რომელიც ორიენტირებული იყო მეცხოველეობასა და ნერგების მოშენებაზე, მაგრამ დროთა ცვალებადობამ მოშალა კომუნისტურ სისტემასთან დაკავშირებული ფორმები და წარმოებები, მისივე თქმით მოსწავლეები დაინტერესებულან ამჟამად ფუნქციონირებადი თევზსაშენი მეურნეობით და სწვევიან ამ მეურნეობის ხელმძღვანელს მურთაზ ჯიჯიხიას, რომელმაც ადგილზე გააცნო მათ თევზის მოშენებასთან დაკავშირებული პროცესები.

ზიზი რურუა პრეზენტირებას აკეთებს სოფელში ადრე და ამჟამად გავრცელებულ ვაზის ჯიშებზე, მისი მოვლის პროცესებზე ღვინოს დაყენების ტექნოლოგიასა და მასთან დაკავშირებულ სათავსოსა და ნივთებზე.

სოფლის რწმუნებულმა იგორ ბაღათურიამ მოსწავლეებს გააცნო თავისი წინაპრებისაგან გაგონილი, დაასახელა რჩეული ადამიანები, რომლებითაც ამაყობს სოფელი, ელაპარაკა მათ მმართველობის ადგილობრივ ფორმებზე, სოფლის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაზე.

მხცოვანი პედაგოგის გული ჯიმშელეიშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით ანი ბესელიამ გაგვაცნო სოფელში საგანმანათლებლო კერების ჩამოყალიბების ისტორია, ილაპარაკა პიროვნებებზე, რომლებიც წარმატებულად მოღვაწეობდნენ ამ სფეროში.

ვიკა ცხვედიანმა გადმოგვცა ყოფილი მედდის 86 წლის ვენერა კოღოშვილის ნაამბობი: სოფელში ნაქალაქარის ეზოში განთავსებული ყოფილა სტაციონარული საავადმყოფო 12საწოლზე. აქ მუშაობდნენ მედდები, ექიმები, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ ადამიანის ჯამრთელობისათვის. 90-იან წლებში საავადმყოფო მოიშალა.

ანი კუპრეიშვილი თანატოლებთან ერთად დაინტერესებულა სამკურნალო წყლით, რომელიც ტეხურის ულამაზეს ხეობაში „დედამოკასთან“ ამოდის, ადრეულ წლებში აქ საბაზანო ყოფილა მოწყობილი, დღეს შენობის ნანგრევებია დარჩენილი.

საქართველოს ისტორიის ჭრილში ექცევა თითოეული სოფელი, თუ კუთხე. ანუელა ბესელიას თქმით მე-2 მსოფლიო ომს 160 ახალგაზრდა შეეწირა, სოფელს კარგად ახსოვს სამოქალაქო ომის დღეები და მოთარეშე მხედრიონელები.

ნოქალაქევის სასაფლაოზე განისვენებს სამშვიდობო მისიით ავღანეთში წასული გიგა ფანცულაია.

ვიკა მებონიამ საინტერესოდ ისაუბრა უხუცესებთან: მეგონა გრიგოლიასთან, იცი ჩვამანიასთან და აფხაზეთიდან დევნილი 103 წლის ლუბა ჩიტაიასთან, თანაკლასელებთან ერთად, სტუმრობის შესახებ. ჩაიწერეს მათი ნაამბობი წარმართულ და ქრისტიანულ რიტუალებზე, ტრადიციებზე ასევე შაირები, ლექსები, გამოცანები, ხალხური მედიცინის რეცეპტები.

მოხუცების ალალი გულიდან ამოსული ლოცვა გამოჰყვათ ჩვენს „ნორჩ მკვლევარებს“ „ღორონთიში ორო გორტიბაფუდანია“, გეხარით ნანა, ჯვეში ვეშიჭყოლიდუათ მარგალ ცირემქია“(ღმერთი გფარავდეთ, გაიხარეთ, ძველი არ დაივიწყოთ მეგრელმა ასულებმა).

ასე დალოცვილები იარეთ ცხოვრების სამომავლო გზაზე.

სოფლის წარმოჩენა დაასრულდა ლიკა სანიკიძის სიმღერით „ლალე“.

ღონისძიებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოამჟღავნა ნოქალაქევის საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელმა, ამერიკელმა ენდრიუ არჩიბალდმა.

სენაკის სამუსიკო ცხოვრების დიდი ნაწილი დაკავშირებულია ლია ქობალავასთან, ქალბატონმა ლიამ თბილად გაიხსენა ნოქალაქევის სკოლაში მუშაობის პერიოდი და მისი ავტორობით გამოცემული წიგნი -მუსიკა არსი. . . საჩუქრად გადასცა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და ნოქალაქევის საჯარო სკოლას.

თავისი შთაბეჭდილება ლამაზი სიტყვებით დააფიქსირა სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლის მე-11ა კლასის მოსწავლემ სალომე კვირკველიამ.

ᲑᲠᲘᲐᲚᲐ ᲐᲜᲗᲘᲐ-ᲛᲘᲠᲑᲐᲗᲘᲐ,
ᲟᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲗᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ
ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ
ᲛᲪᲕᲔᲚᲘ

„ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲢᲠᲘᲝᲗ„ ᲕᲐᲖᲘᲐᲜᲘᲡ IV ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐᲨᲘ.

სენაკის კულტურულ ცენტრთან არსებულმა სახალხო ანსამბლმა „კოლხურმა ტრიომ“ (დარეჯან ფაჩულია, ბელა ქამადაძე, ეკა კოღუა) ვეტერან ოფიცერთა სიმღერის ანსამბლ „მშვიდობასთან“ ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთის სარდლობის მე-4 მექანიზებულ ბრიგადაში ჩატარებულ კულტურულ-საგანმანათლებლო კონცერტში.

„კოლხურ ტრიოს“ რეპერტუარში შედიოდა ყველა კუთხის სიმღერა, რამაც მებრძოლებისა და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ანსამბლის „მშვიდობა“ წევრებმა,,,ერისიონისა“ და „ფაზისის“ ყოფილმა სოლისტ-მომღერლებმა (პოლკოვნიკი იაგო გოქსაძე, ვიცე-პოლკოვნიკი იური გადლაგა, მაიორი ნუგზარ კურცხალია, უფროსი ლეიტენანტი ზაური დადიკაძე, ლეიტენანტები რუსლან გრძელიძე, ომარ ბერიძე, ნუგზარ არაბული 1200ზე მეტ მებრძოლს მიულოცეს შობა-ახალი წელი და საბრძოლოსალაშქრო, თბილისური სიმღერებით მოხიბლეს. კონცერტი საშობაო რეპერტუარით საათნახევარს გაგრძელდა.

მებრძოლებმა მადლობის ნიშნად საპატიო დერეფნებში აპლოდისმენტებით გააცილეს სახელოვანი მომღერლები, განსაკუთრებით 400 კილომერტის მანძილიდან ჩამოსულ „კოლხური ტრიოს“ მომღერალი ქალბატონები.

„კოლხური ტრიოს“ წევრები მადლობას უხდიან სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, სენაკის მერს ბატონ ლევან კუპრეიშვილს. სწორედ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით მოხდა მათი მონაწილეობა ამ ღონისძიებაში.

„ᲙᲕᲘᲠᲘᲗᲔᲑᲘᲡ„ ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

დღესასწაული, რომელიც პატარებს განსაკუთრებულად ახალისებთ, ახალი წელია. საზეიმო განწყობა იყო საბავშვი ბაღ „კვირტებში“, ოთახი ზამთრის ტყეს დამსგავსებოდა, იქაურობას ავსებდა ბაღის აღსაზრდელების ბარბარე და ლევან ჯიქიების, ქეთევან და შოთიკო კუჭავების, ანასტასია ზარქუას, თეკლა ჩაჩავას, ანდრია გვასალიას, ლუკა პაპავას, ცოტნე კილასონიას, იოანე ზარანდიას, ლუკა და ნიკუშა ალანიების, ანდრია ჟინჭარაულის, გიორგი კვირკვაიას, ელენე ხახუბიას, ლილე სიჭინავას, ანამარია ჯიშკარიანის, ნიკო ჭკადუას, ჰანა ხუბუას, ნიკო სიჭინავას მხიარული სიმღერა, ცეკვა, ლამაზი ლექსები, რომლებმაც ცოტა ხანს მაინც გვამოგზაურეს ფერიების, დედოფლებისა და მეფეების, პრინცებისა და პრინცესების, ფიფქიებისა და შვიდი ჯუჯის, წითელქუდებისა და კეთილი მგლების, კარლსონისა და პეპის ჯადოსნურ სამყაროში, სადაც ყველაფერი ფერადი, ლამაზი და სითბოთი სავსეა... ყველაზე პატარები თაზო თოდაძე, გიორგი ჩალოვი, ანასტასია ლომიაც ღებულობდნენ ზეიმში მონაწილეობას. ბავშვების გამოსვლებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, სტუმრებზე, აღსანიშნავია ბაღის გამგის ქალბატონ ინგა ღვინჯილიას, აღმზრდელის აზა გოგიას, ძიძების ია სურმავას და ნათია წოწორიას, სამხატვრო ხელმძღვანელის ნათია სოლომონიას შესრულებული დიდი სამუშაო და ძალისხმევა, რამაც ასეთი ლამაზი დღე აჩუქა „კვირტების: აღსაზრდელებს და დამსწრე საზოგადოებას. ბავშვებს ახალი წელი საკუთარი ლექსით მიულოცა პოეტმა გული კირცხალიამ.

ზეიმის ბოლოს პატარებმა ერთხმად მოუხმეს თოვლის ბაბუას(მსახიობი რამაზ ლოლუა), რომელმაც ახალი წელი მიულოცა პატარებს და არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსეთის თანამემამულეთა კავშირის“ თვმჯდომარის, ქალბატონ ლარისა აგაბალაევას მიერ მოტანილი საშობაო საჩუქრები დაურიგა.

“მიხარია, რომ ბავშვების სიხარულით სავსე სახეებს ვუყურებ- აღნიშნა ქალბატონმა ლარისამ - დიდი მადლობა თქვენ, ასეთი კარგები რომ ხართ და მადლობა თქვენ აღმზრდელებს, რომ არ იშურებენ ძალ-ღონეს და ამდენ შრომას დებენ თქვენში”.

შობის მადლი ფარავდეს საბავშვო ბაღ „კვირტების“ თითოეულ აღსაზრდელს და ღმერთმა უმრავლოთ ასეთი ლამაზი და თბილი დღეები. ბავშვები ხომ სამყაროს განუმეორებელი არსებები არიან-თავიანთი სინორჩით, სიანცით, სითბოთი. ბავშვები სიხარულია, სიცოცხლეა, სიკეთეა, გდარჩენაა. ბავშვები ჩვენი მერმისია, ხვალინდელი დღეა.

ᲛᲐᲘᲐ ᲑᲔᲠᲒᲐᲘᲐ

სამუსიკო განათლების მიღების ჭეშმარიტი ცაბარი

სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა დიდი ტრადიციების მქონეა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით წამყვან ადგილს იკავებს რეგიონის და რესპუბლიკის სახელოვნებო სკოლებს შორის.

სკოლას დაარსებიდან 90 წელი შეუსრულდა. სკოლის წარმატებებზე და მომავლის პერსპექტივებზე საუბრობს სამუსიკო სკოლის დირექტორი ქალბატონი რუსუდან მილიუტინი.

ქალბატონო რუსუდან გთხოვთ გვესაუბროთ თქვენს პროფესიულ საქმიანობასა და ოჯახზე?

ჩემი მშობლები - პედაგოგი ნინა ხურცილავა და ცნობილი ჟურნალისტი ბორის მილიუტინი მე და ჩემს დას ნანას, საოცრად თბილ, სიყვარულით და ურთიერთპატივისცემით მოსილ ქართულ ოჯახში გვზრდიდნენ, ბავშვობიდან გვინერგავდნენ ხელოვნების - მუსიკის, პოეზიის, ბუნების, ენების სიყვარულს, სწავლის წყურვილსა და შრომისმოყვარეობას, ერთგულებას და პატიოსნებას.

საქართველოში მილიუტინების ერთი ოჯახის შთამომავალნი ცხოვრობენ. მათი დამკვიდრების ისტორია საქართველოში რკინიგზის მშენებლობას უკავშირდება. ბაბუა მიხეილ მილიუტინი 1871 წელს ჩამოსულა საქართველოში რკინიგზის მშენებლობაზე, აბაშის შემდეგ დამკვიდრდა სენაკში და იქორწინა ქართველ ქალზე, ცარო გულუაზე, მათ ჰყავდათ 3 შვილი, ერთი ვაჟი და 2 ქალიშვილი.

სკოლა ოქროს მედლით დავამთავრე, პედაგოგები მიწინასწარმეტყველებდნენ არქიტექტორობას, მათემატიკოსობას, ექიმობას... მაგრამ გულმა და გონებამ ხელოვნება, კერძოდ მუსიკა აირჩია.

მუსიკალური შვიდწლედი წარჩინებით, ქ. თბილისში - მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-3 სამუსიკო სასწავლებელი და ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია წითელ დიპლომზე დავამთავრე - საკონცერტო შემსრულებლის, მასწავლებლისა და კონცერტმაისტერის კვალიფიკაციით.

სენაკის სამუსიკო სკოლის პედაგოგი და კონცერტმაიტერი ვარ 50 წელზე მეტია, 30 წელზე მეტი ვიყავი სკოლის საფორტეპიანო განყოფილების გამგე, 2000 წლიდან - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, 2006 წლიდან კი სკოლის დირექტორი.

სკოლაში მოსწავლეთა და ჩემი მრავალი სოლო და საკლასო კონცერტი მაქვს გამართული. 1995 წლის ივნისში სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში სრული ანშლაგით გაიმართა ჩემი შემოქმედებითი საღამო, კონცერტის მიმდინარეობის 3 საათის განმავლობაში მაყურებელი დარბაზს არ ტოვებდა, კონცერტში მონაწილეობა მიიღო ჩემი კლასის ყველა მოსწავლემ სხვადასხვა ჟანრში და ჩემმა კოლეგებმა, სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა.

ჩემი აღსაზრდელები წლების მანძილზე მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში სადაც დაჯილდოვდნენ სიგელებით, დიპლომებით და ლაურეატის წოდებით. განსაკუთრებით ნიჭიერებმა - დიანა სამსონიამ, თამარ ჩემიამ, ლაშა კვარაცხელიამ კი სწავლა გააგრძელეს სამუსიკო სასწავლებლებსა და შემდეგ კონსერვატორიაში.

ვამაყობ ჩემი ოჯახით, დით და დისშვილით - ექიმებით - ნანა მილიუტინით და ნინო ხაზალიათი, რომელსაც ჰყავს 3 შვილი, ასევე ვამაყობ ჩემი აღზრდილებით.

2017 წელს წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება მოგენიჭათ, როგორი იყო გასული წელი პირადად თქვენთვის?

ჩემი შეგნებული ცხოვრება მუსიკასთან არის დაკავშირებული. მუსიკა ჩემთვის მარტო პროფესია არ არის, ეს არის ჩემი ყოფა,ჩემი ცხოვრების მთავარი მიმართულება,

მოზარდი თაობის ესთეტიკურ აღზრდას მივუძღვენი ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი, 50 წელზე მეტია ვემსახურები ბავშვის- სამყაროში ამ უმნიშვნელოვანესი და ყველაზე სუფთა და ლამაზი არსების მუსიკალურ აღზრდას. ვამაყობ ჩემი პროფესიით.

2017 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დამაჯილდოვა დამსახურებული და წლის საუკეთესო მასწავლებლის სიგელით.

ჩემთვის და სამუსიკო სკოლისათვის ბოლო ათწლეული იყო დიდი მიღწევების, გამარჯვებების და მუხლჩაუხრელი, დაძაბული, მაგრამ საპატიო და სასურველი შრომის პერიოდი.

სკოლის ორმა მოსწავლემ - ნიტა ვერულავამ და კესო ლეფსაიამ ევროპაში გაიტანეს სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის სახელი. მათი წარმატებების არეალი ასეთია: თურქეთის საკურორტო ქ. მარმარისის, კანარის კუნძულების ქ. ტენერიფეს - ესპანეთი, ქ. ბადენ - ვიურტემბერგის - გერმანია, ახალგაზრდა მუსიკოსთა საერთაშორისო კონკურსები და მრავალი რესპუბლიკური კონკურსი, სადაც ამ არაჩვეულებრივმა გოგონებმა II საპრიზო ადგილები დაიმსახურეს. მათი მიღწევები დაიწყო რესპუბლიკურ კონკურსებზე II საპრიზო ადგილით და ამაღლდა I პრემიამდე და ლაურეატის წოდებამდე.

2017 წელი სკოლისათვის დიდი მიღწევების წელი იყო:

სენაკის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ კონკურსში, გთხოვთ ისაუბროთ მათ წარმატებებზე?

2017 წლის მარტში - კლასიკური მუსიკის მე - 10 საიუბილეო და საერთშორისო ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები" - მონაწილეობა მიიღეს სკოლის პიანისტმა, გიტარისტმა და ფოლკლორულმა ანსამბლმა „მორდუ" - ჯილდო : დიპლომები და ფოლკლორული ანსამბლის მონაწილეობა ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში - გალა კონცერტში.

2017 წლის აპრილში - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების III რესპუბლიკური კონკურსი - სამუსიკო სკოლის 100 -ზე მეტი მოსწავლის გაერთიანებული გუნდისა და ფოლკლორულ ანსამბლ „მორდუს" მონაწილეობა კონკურსში და ჯილდოები: გაერთიანებული გუნდი - III პრემია - დირიჟორი გ. ქაჯაია, პედ. გ. სამინავა, კ/მ რ. მილიუტინი, ფოლკლორული ანსამბლი „მორდუ" – III პრემია - პედ. ლ. გოგია.

2017 წლის აპრილი - ი. ს. ბახის სახელობის რესპუბლიკური კონკურსი - მონაწილეობა მიიღეს და დაჯილდოვდნენ: ქრისტინე გეგეჭკორი - II კლასი - III პრემია - პედ. დ. ფაჩულია, ნიტა ვერულავა VII კლასი - I პრემია - პედ. ე. ხოშტარია და კესო ლეფსაია - VI კლასი - II პრემია - პედ. ნ. ტყებუჩავა.

2017 წლის მაისი - საქართველოს ხელოვნების აკადემიის ქართული კლასიკური მუსიკის ეროვნული კონკურსი ქ. თბილისში- კესო ლეფსაიამ და ნიტა ვერულავამ საფორტეპიანო ანსამბლის საუკეთესო შესრულებისათვის დაიმსახურეს I პრემია, ხოლო ქრისტინე გეგეჭკორმა II პრემია.

2017 წლის 15 - 24 მაისს, მსოფლიოში სახელგანთქმული პიანისტის, ვალერიან შიუკაშვილის მიერ 2013 წელს დაარსებული საიუბილეო „სენაკის მუსიკალური ფესტივალი 2017" სენაკში, სადაც მონაწილეობა მიიღო სკოლის 150 - ზე მეტმა მოსწავლემ - გაერთიანებულმა გუნდმა და სკოლის 6 განყოფილების მოსწავლეებმა. 30 - მა მოსწავლემ მიიღო საპატიო დიპლომი, ასევე საპატიო დიპლომი - ფესტივალის უმაღლესი ჯილდო- დაიმსახურა გაერთიანებულმა გუნდმა - რომელმაც მონაწილეობა მიიღო ფესტივალის გალა - კონცერტში.

2017 წლის ივნისი - საქართველოს ხელოვნების აკადემიის მოწვევით სამუსიკო სკოლამ დიდი წარმატებით ჩაატარა კონცერტი ქ. თბილისში - საფორტეპიანო, სოლო სიმღერის, გიტარისა და ფოლკლორის /ფოლკლორული ანსამბლი „მორდუ"/ ჯგუფების მოსწავლეთა მონაწილეობით, კონცერტში დიდი წარმატებით მონაწილეობა ასევე მიიღეს სხვადასხვა დროს სკოლის კურსდამთავრებულმა, სახელმწიფო კონსერვატორიის სენაკელმა სტუდენტებმა და სენაკის სახელგანთქმულმა „კოლხურმა ტრიომ" და ანსამბლმა „გოგალაი"

2017 წლის ივნისი - გიორგი ცაბაძის სახელობის ეროვნული კონკურსი ქ. ჭიათურაში - საესტრადო განყოფილების I კლასის მოსწავლე ლენა სებისკვერაძე - დიპლომი - პედ. ა. გოგოტიშვილი, კ/მ რ. მილიუტინი.

2017 წლის დეკემბერი - კლასიკური მუსიკის VII ეროვნული კონკურსი - კესო ლეფსაია - I პრემია.

რა მასშტაბისაა არტ აკადემიის ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება და რამდენი ნიჭიერი მოსწავლის გამოვლენა შესძლო მან?

2013 წლის 26 თებერვალს, სენაკში, მსოფლიოში ცნობილმა პიანისტმა და მუსიკოსმა ვალერიან შიუკაშვილმა, სამუსიკო სკოლის დირექტორის რ. მილიუტინის მოწვევით, სკოლის ს. ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტი ჩაატარა. კონცერტმა სრული ანშლაგით, მძუხარე აპლოდისმენტებით, ბისზე ჩაიარა.

იმავე წელს, მისი სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, მსოფლიოში ცნობილი პიანისტის ვალერიან შიუკაშვილის ინიციატივით, მაისის თვეში სამუსიკო სკოლასთან საფუძველი ჩაეყარა „ სამეგრელო -ზემო სვანეთის სენაკის რეგიონალურ მუსიკალურ ფესტივალს - სამეგრელოს ვარსკვლავები", რომელიც ითვალისწინებდა სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა მოსმენა - დათვალიერებას, სადაც წარმატებით მიიღეს მონაწილეობა მხოლოდ რეგიონის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების მოსწავლეებმა, მათ შორის სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის ყველა განყოფილების მოსწავლეებმა და გაერთიანებულმა გუნდმა, სულ 100 - ე მეტმა მოსწავლემ, ფესტივალში მონაწილეობდა რეგიონის 700 - მდე მოსწავლე. ეს იყო რეგიონის სამუსიკო ხელოვნების დიდი ზეიმი, რომელიც გახსნა ცნობილმა პიანისტმა. ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე, სხვადასხვა სკოლების გამარჯვებულ მოსწავლეებთან ერთად სენაკის სამუსიკო სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა შეასრულა კომპოზიტორ ვ. აზარაშვილის სიმღერა „მუსიკა", რომელიც შემდგომ ფესტივალის ჰიმნად იქცა.

ამ ფესტივალმა, უკვე 2014 წელს, დასაბამი მისცა უფრო დიდ, გაფართოებულ ფესტივალს, „ხელოვნების აკადემიის დასავლეთ საქართველოს ფესტივალს - 2014", რომელმაც მოიცვა რიკოთის უდელტეხილს აქეთ იმერეთის, რაჭის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლები ხარაგაულის, ზესტაფონის, თერჯოლის, ქუთაისის, წყალტუბოს, ვანის, სამტრედიის და მისი სოფლების ტოლების, დიდი ჯიხაიშის, კულაშის, ლანჩხუთის, სუფსის, ქობულეთის, ბათუმის, ხელვაჩაურის,ფოთის ზუგდიდის, აბაშის, ჩხოროწყუს, მარტვილის და სენაკის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობა ამ ფესტივალში...

ფესტივალმა სენაკის აკ. ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გადაინაცვლა და ფესტივალის პროგრამა, გარდა მოსწავლეთა მოსმენებისა, გაფართოვდა და მთელი ფესტივალის პერიოდში დაიტვირთა საქართველოში და მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსების კონცერტებით, მასტერკლასებით... რაც დიდი მოვლენაა სენაკის მუსიკალური ცხოვრების ისტორიაში.

სენაკის ფესტივალს სტუმრობდნენ ცნობილი მუსიკოსები: ნანი ბრეგვაძე, ანიტა რაჭველიშვილი, ნინო ქათამაძე, ვაჟა აზარაშვილი, ეკა მამალაძე, ნუკრი კაპანაძე, საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი, საპატრიარქოს მგალობელ მამაკაცთა გუნდი ჩხოროწყუს ფოლკლორულ ანსამბლთან ერთად, ახალგაზრდული ჯაზ-კვინტეტი „The Quintessence", ირმა სოხაძე, გიორგი ცაგარელი, ტარიელ სუარი, ცნობილი მსახიობი ია ფარულავა, დათო კენჭიაშვილი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალის ცნობილი პედაგოგი, პროფესორი გულიკო კარიაული... ცნობილი გერმანელი აკორდეონისტი მანუელა გლოკი, ცნობილი შვედი პედაგოგი ნატალია კაზიმიროვსკაია...და ხელოვნების აკადემიის კონკურსების ლაურეატები, საქართველოს სხვადასხვა სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების, მათ შორის თბილისის „ნიჭიერთა ათწლედის" მოსწავლეები ... ასევე დიდი წარმატებით ჩატარდა სენაკის 2015 და 2016 - წლების ფესტივალები...

ფესტივალში მონაწილე კოლექტივების რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება... უკვე 2017 წელს რიგით V საიუბილეო ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 2000 - მდე მონაწილემ, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, კლასიკურმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა, ნორჩმა საესტრადო მომღერლებმა და ანსამბლებმა... გაიზარდა ფესტივალში მონაწილე ქალაქებისა და სოფლების რიცხვი...

2017 წლის ფესტივალზე სენაკის მუნიციპალიტეტს სამუსიკო სკოლის სხვადასხვა განყოფილების 30 მოსწავლე, სკოლის გაერთიანებული გუნდი და ფოლკლორული ანსამბლი ფესტივალის უმაღლესი ჯილდოს საპატიო დიპლომის მფლობელი გახდა...უამრავი მოსწავლე დაინტერესდა კლასიკური მუსიკით, ფოლკლორით...

დასავლეთ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში სენაკის ხელოვნების ფესტივალი არის დიდი მოვლენა...ამ ფესტივალამდე არასოდეს ამდენი ნორჩი შემსრულებელი, რომელთათვისაც ეს ფესტივალი არის ესთეტიკასთან, კლასიკურ მუსიკასთან, კულტურასთან ზიარების ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი, დასავლეთ საქართველოს არ ჰყოლია არსად და არასოდეს...ბევრი ნორჩი მუსიკოსისათვის ეს ფესტივალი ემსახურება მათ პროფესიულ განვითარებას კლასიკური მუსიკის მიმართულებით...

ამ ფესტივალმა 50 - მდე მოსწავლე გაგზავნა სახდვარგარეთ ნორჩ მუსიკოსთა საერთაშორისო კონკურსებზე. ფესტივალის რეკომენდაციით უცხოეთში სწავლა გააგრძელა 10 - მდე მოსწავლემ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებდან, მათ შორის შვედეთში 2 - მა. ფესტივალში მონაწილეობის შემდეგ ბევრმა ნორჩმა მუსიკოსმა პროფესიად მუსიკა აირჩია.

როგორია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საჭიროებს თუ არა იგი განახლებას?

სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა დაარსდა 1927 წელს, კერძო სახლის ერთ ოთახში, ერთი პედაგოგითა და რამდენიმე მოსწავლით...

განსაკუთრებულ წარმატებებს სკოლამ მიაღწია გასული საუკუნის 50 - იან წლებში, როდესაც უკვე ჰქონდა საკუთარი შენობა, საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილება...საკონცერტო დარბაზი და მოსწავლეთა, იმ დროისათვის შთამბეჭდავი კონტინგენტი და პედაგოგთა რაოდენობა...იმართებოდა კონცერტები, რომელიც დიდი მოვლენა იყო სენაკის კულტურულ ცხოვრებაში... მაყურებელი, სენაკის იმდროინდელი ინტელიგენცია და რიგითი მაცხოვრებლები განსაკუთრებულად ემზადებოდნენ ამ კონცერტებზე დასასწრებად...

შემდეგ, წლების მანძილზე სკოლა განვითარდა, გაფართოვდა... და დღეს გვაქვს საკმაოდ კარგი: შენობა, მოსწავლეთა და პედაგოგთა კონტინგენტი, სისხლსავსე მუსიკალური ცხოვრება და ზრუნვა მომავალზე...

წლების მანძილზე სკოლაში პედაგოგებად მუშაობდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული საუკეთესო განათლებისა და გამოცდილების მქონე პედაგოგები, რომელთაც მოახერხეს თავისი საიმედო ცვლის აღზრდა და დღეს სკოლის პედაგოგთა 85% მშობლიური სკოლის აღზრდილია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

სკოლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა კარგია, მაგრამ საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, რომელიც 1984 წლის სკოლის რეკონსტრუქციის შემდეგ არ ჩატარებულა, ასევე გასაახლებელია სასკოლო ინვენტარი, მუსიკალური ინსტრუმენტები.

2017 წელს სკოლა 90 წლის გახდა. ეს სკოლა ერთერთი უძველესია საქართველოში, რომელმაც წლების მანძილზე ბევრ წარმატებას მიაღწია...

რა მასშტაბით აპირებთ იუბილის აღნიშვნას?

სკოლა ემზადება 90-ე წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის. გვინდა,რომ ეს დღე დღესასწაული იყოს სენაკის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებისათვის, პედაგოგთათვის, მუსიკისმოყვარულთათვის და არა მარტო მათთვის... და აღინიშნოს აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე. ველოდებით თეატრში რეკონსტრუქციის დასრულებას, გვინდა იუბილეზე მოვიწვიოთ სენაკის ინტელიგენციის, ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები, ადამიანები, რომლებიც ხელს გვიწყობენ, გვეხმარებიან, რომ სენაკელ ახალგაზრდობას ჰქონდეს სამუსიკო განათლების მიღების შესაძლებლობა... გვინდა ჩვენთან ერთად იყვნენ ცნობილი მუსიკოსები, საქართველოს სამუსიკო სკოლების ხელმძღვანელები, პედაგოგები, რომლებიც წლებია მეგობრობენ სკოლასთან, ეს მეგობრობა უფრო განამტკიცა სენაკის ხელოვნების ფესტივალმა, სადაც ჩვენს კოლეგებს ვხვდებით ყოველ წელს, ვუზიარებთ გამოცდილებას და ვეხმარებით ერთმანეთს საქართველოში სამუსიკო განათლების უფრო მაღალ დონეზე წარმართვისათვის...

როგორია თქვენი საახალწლო სურვილები?

სრულიად საქართველოს, ჩემს კოლეგებს, მეგობრებს, ახალგაზრდა მუსიკოსებს საუკეთესო სურვილებით ვულოცავ შობა-ახალ წელს. მინდა ყველა ადამიანი ეხიაროს იმ არაჩვეულებრივ ფენომენს, რასაც კლასიკური მუსიკა და ზოგადად მუსიკალური ხელოვნება ჰქვია...

ესაუბრა მარიკა მიქაბერიძე

რუსუდან მილიუტინი ეროვნულ კონკურსზე

14 იანვარი- ქართული თეატრის დღე

დაუღალავი შრომა, შემოქმედებითი ძიება

არა მარტო ჩვენი ქალაქის, არამედ რეგიონის და სრულიად საქართველოს მშვენება გახლავთ აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ულამაზესი არქიტექტურული ნაგებობა. საოცრად ორიგინალურია და ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს წარმოადგენს თეატრის მოხატულობა, რომელიც სახელოვან მხატვარს ბატონ დიმიტრი ბარქაიას ეკუთვნის. ნაგებობა დააპროექტა და ააშენა ნიჭიერმა სენაკელმა ვახტანგ(ხუტა) გოგოლაძემ. თეატრის კედელს ამშვენებს მისი არქიტექტორის მემორიალური დაფა. 130 წლიანი ტრადიციების მქონე თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი, მრავალი პრობლემის მიუხედავად, დღესაც დაუღალავად იღვწის, ეძიებს, შემოქმედებით წვაშია.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - სენაკის სახელმწიფო პროფესიულ-დრამატული თეატრის შენობის სრული და ყოველმხრივი რეაბილიტაცია, რომელიც 2016 წელს დაიწყო, 2018 წლის ბოლოს დასრულდება. მსგავსი მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები სენაკის თეატრის შენობას მანამდე არ ჩატარებია, რომლის შემდეგაც იგი შეძლებს უმაღლესი სტანდარტების დაკმაყოფილებას და უმასპინძლებს საერთაშორისო დონის ფესტივალებსა და ღონისძიებებს.

რამდენად წარმატებული და ნაყოფიერი იყო შემოქმედებითი თვალსაზრისით გასული წელი თეატრისათვის, რომ პროფესიული დღესასწაულიდან იწყება ათვლის წერტილი თეატრალების შემოქმედებაში და იწყება ახალი თეატრალური სეზონი, როგორია თეატრის სამომავლო გეგმები გვესაუბრებიან ჩვენი სტუმრები: სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორი და მსახიობი ირაკლი ადამია, მსახიობები თამუნა აბშილავა, ლალი გაბელია

ირაკლი ადამია 2001 წლიდან მუშაობს სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მსახიობ-რეჟისორად. მას არაერთი სპექტაკლი აქვს დადგმული მშობლიური თეატრის სცენაზე, ხოლო მის მიერ განსახიერებული როლები ძალიან უყვარს სენაკელ მაყურებელს.

აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი დროებით გადავიდა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შენობაში. მიუხედავად რთული პირობებისა, თეატრს არ შეუწყვეტია ინტენსიური მუშაობა და შემოქმედებითი თვალსაზრისით გასული წელი საკმაოდ წარმატებული და ნაყოფიერი იყო. თეატრი ძირითადად გადავიდა საგასტროლო „პოლიტიკაზე".

მონაწილეობა მივიღეთ 21-30 ივლისს ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალში და წარვადგინეთ სპექტაკლი „ბაკულას ღორები"(რეჟისორი კახა გოგიძე). ფესტივალი საკმაოდ მასშტაბური იყო და მასში მონაწილეობდნენ, როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის თეატრები, ასევე უცხოეთიდან მოწვეული თეატრალური კოლექტივები.

შემდეგ იყო ახალციხის მეოთხე ეროვნული დრამატურგიული თეატრალური ფესტივალი, რომელშიც

ჩვენს გარდა მონაწილეობას ღებულობდა საქართველოში მოქმედი ყველა თეატრი. ჩვენს მიერ წარდგენილმა სპეკტაკლმა მაღალი შეფასება დაიმსახურა, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი თეატრისათვის. სპეკტაკლში მონაწილეობას ღებულობდნენ მსახიობები ეკა კოღუა, ელგუჯა ნოდარიძე, თენგიზ თოფურიძე, თამუნა აბშილავა,. ზურიკო ზურაბაშვილი, ლევან ესებუა, ჯამბულ ჭანტურია, ინგა ცირამუა, ლალი გაბელაია, ზვიად ზურაბაშვილი, დაჩი გურიელი, მარიამ მამულია, აკაკი ნადარაია, ანდრია ცირამუა.

27 ნოემბერს ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ვითამაშეთ სპექტაკლი „ბაკულას ღორები".

20 იანვარს იგივე სპექტაკლი უნდა წარვადგინოთ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე. უნდა ავღნიშნო, რომ ჩვენი თეატრის დასი ადრე არ ყოფილა საგასტროლოდ ქუთაისში.

თეატრის მთელი დასი ვემზადებით თეატრის ახლადრეაბილიტირებული თეატრის გახსნისათვის, ეს უნდა იყოს გრანდიოზული ღონისძიება, სადაც თავს მოიყრის საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

მიმდინარე წელს გვაქვს გასვლითი სპექტაკლები სამტრედიაში, აბაშაში. ჩვენ ვგეგმავთ ახალი სპექტაკლების დადგმას, მიმდინარეობს პიესების შერჩევა. თეატრი ორიგინალური ხელოვნებაა, სპექტაკლი კი ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც არსებობას მაყურებელთა გულებში განაგრძობს, კარგად დადგმულმა სპექტაკლმა უნდა დაანახოს მაყურებელს, რომ ხელოვნების მიზანი უბრალოა, მოუტანოს ადამიანებს სიხარული, შთაბეროს მათ მხნეობა. ჩვენი კოლექტივის თითოეული წევრი დიდი ფიზიკურ და სულიერ ენერგიას ხარჯავს იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილად წარმოაჩინოს შემოქმედებითი პოტენციალი.

მიუხედავად მწირი ბიუჯეტისა, თეატრი არ წყვეტს ინტენსიურ მუშაობას და იმედს ვიტოვებთ, კვლავაც ღირსეულად ვატარებთ საუკუნოვანი თეატრის სახელს. და ვეცდებით მომავალში უფრო თვითმყოფადი და თანამედროვენი ვიყოთ.

თამუნა აბშილავა

პირველ რიგში მსახიობებს ... და ყველას ვისაც თეატრი უყვარს ვულოცავ ქართული თეატრის დღეს. პირადად ჩემთვის 2017 წელი განსაკუთრებულად წარმატებული იყო. მთავარი როლი ვითამაშე დიტო ცინცაძის ფილმში „შინდისი", ჩემი პარტნიორია გოგა პიპინაშვილი. ფილმს საფუძვლად უდევს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მომხდარი რეალური ამბავი. შევასრულე კლაუს როლი სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში". ორივე ფილმში მოსახვედრად გავიარე ქასთინგი. მიწვეული ვიყავი ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში. ვითამაშე სოსო ნემსაძის სპექტაკლში „ძარცვა იტალიურად" და გეგა ქურციკიძის სპექტაკლში „ცილინდრი".

თეატრში 2013 წელს დავბრუნდი, ვითამაშე სპექტაკლებში „ათვინიერებენ მიმინოს", „ბედნიერი ერი",,,ომის ღმერთი". ბოლო ორი სპექტაკლი დაიდგა მოწვეული რეჟისორების გიორგი სიხარულიძისა და გიორგი შალუტაშვილის მიერ.

ვითმაშე მაღალი საზოგადოებრივი წრის ქალის სახე „ბაკულას ღორებში". საინტერესო იყო რეჟისორ კახა გოგიძესთან მუშაობა. აღნიშნულმა სპექტაკლმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ასე, რომ მადლობა გასულ წელს და იმედი მქვს, რომ 2018 წელიც ასევე დატვირთული იქნება შემოქმედებითად, ყველაზე მნიშვნელოვანი რაცაა, წელს დასრულდება თეატრის რეაბილიტაცია და უფრო აქტიურად შევუდგებით მუშაობას.

ლალი გაბელია

24 წელია თეატრში ვარ და თეატრის გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენლად მიმაჩნია. 24 წელი კი არც ისე ცოტა დროა. მსახიობისთვის არ არსებობს დიდი და პატარა როლი, ამიტომ ჩემს მიერ ნათამაშევი როლები ერთნაირად ძვირფასი და მნიშვნელოვანი ჩემთვის, თუმცა გამოვყოფდი იმ როლებს, რომელიც მაყურებელს დაამახსოვრდა. ეს არის როლები სპექტაკლებიდან:„ფიროსმანი", „ჯვარცმული ბედნიერება", „მუდამ ერთად", „შაითან-ხიხო",„თეთრი ბაირაღები" და სხვ. ასევე გამოვყოფდი როლს სპექტაკლიდან „იყო ერთი სოფელი",რომელშიც ეტლს მიჯაჭვულ გოგონას ვთამაშობდი, სადაც მხოლოდ ერთ სიტყვას „დიოს" ვამბობდი. ეს სახე იმდენად დასამახსოვრებელი და საყვარელი გახდა მაყურებლებისათვის და განსაკუთრებით მოზარდებისათვის, რომ ყველა დღემდე დიდი სიყვარულითა და სითბოთი იხსენებს „თაკოს". 17 წლის ასაკში ვითამაშე პირველ თოჯინების სპექტაკლშიც, რომელიც ჩვენს თეატრში დაიდგა და მას შემდეგ დღემდე დიდი სიყვარულით ვეკიდები ამ საქმეს, რადგან ძალიან მიყვარს ბავშვებთან ურთიერთობა,ამიტომაც ჩემს პროფესიას ვუთავსებ მეორე საქმეს, ვარ ანიმატორი ბავშვთა გასართობ ცენტრში და ეს საქმიანობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

სარეალიბიტაციო სამუშაოების გამო თეატრი შეფერხებით მუშაობს,ამიტომ 2017-ში მხოლოდ ერთი სპექტაკლი, „ბაკულას ღორები"დაიდგა, სადაც ერთ-ერთი მეზობლის როლს ვთამაშობ(სახასიათო როლია). რაც შეეხება, სამომავლო გეგმებს, წინასწარ არაფერს ვგეგმავ, თუმცა ყველა ჩემი ოცნება და ფიქრები უკავშირდება ისევ და ისევ ჩემს თეატრს, მომავალ სპექტაკლებს, მზადებას ფოთისა და ოზურგეთის ფესტივალებისათვის, ჩვენი განახლებული თეატრის გრანდიოზული გახსნისათვის შემოდგომაზე.

ვულოცავთ ქართული თეატრის დღეს 14 იანვარს და შობა–ახალ წელს სენაკის სახელმწიფო პროფესიულ-დრამატული თეატრის მთელ შემოქმედებით კოლექტივს. ვუსურვებთ ულევ სიხარულს, მაყურებელთა დიდი სიყვარულს, წარმატებებს პირად ცხოვრებაში და შემოქმედებით აღმავლობას ხელოვნების დიდ გზაზე.

მ.ბერგია

პატრიარქის ნათლული

19 იანვარს სამების საკათედრო ტაძარში ჩვილთა 52-ე საყოველთაო ნათლობა გაიმართა. ჩვილთა პირველი საყოველთაო ნათლობა 2008 წლის 19 იანვარს გაიმართა. ინიციატივის მიზანი საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,ილია მეორის ნათლული კიდევ 708 ბავშვი გახდა. პატარებს საჩუქრად ნათლობის ჯვარი და ნათლობის მოწმობა გადაეცათ

ნათლობის დასრულების შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია II -მ ტაძარში შეკრებილებს ქადაგებით მიმართა და ნათლულები დალოცა.

დღეისთვის ილია მეორეს 33 894 ნათლული ჰყავს. ისინი ჯვარდაწერილ ოჯახების მესამე და მომდევნო შვილები არიან.

პატარა ნინო ფირცხალავა პატრიარქის ნათლულია. წმინდა ნინოს მოსახელე პატარა ქალბატონი ჯერ მხოლოდ 5 თვისაა და ვერ აცნობიერებს, თუ როგორი მადლია-იყო უწმინდესის ნათლული. მშობლებს: ლელა გაბელიას და ირაკლი ფირცხალავას პატარა ნინო, უფროს ძმებთან ილია და ნიკოლოზთან ერთად ხშირად დაჰყავთ ეკლესიაში, ცდილობენ აქედანვე ჩაუნერგონ ღვთის სიყვარული და მოწიწება.

ლელა გაბელია- როგორც კი ნინიკო დაიბადა მაშინათვე გადავწყვიტეთ,რომ ის პატრიარქის ნათლული გამხდარიყო.. ეს იყო ენით აუწერელი და განუმეორებელი, უბედნიერესი დღე მთელი ჩვენი ოჯახისათვის. ახლაც ყურში ჩამესმის პატრიარქის სიტყვები: ღმერთმა დაგლოცოს და გაგახაროს! შენს თავს, შენს მშობლებსა და და-ძმებს, ოჯახს ვაბარებ მაცხოვარს და ვავედრებ ყოვლადწმიდა ღვთისშობელ დედას. მე ვლოცულობ შენთვის, შენ ილოცე ჩემთვის და მე შეგეწევი შენ, ორთავე სოფელსა შინა!

ვულოცავთ პატარა ნინოს მირონცხებას, ნათლისღების მადლი ფარავდეს ქართველ ასულს.

ნ. შონია

„იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი„

ტრადიციულად, ყოველი წლის დასაწყისში წმ. ალექსი შუშანიას სახელობის სენაკის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეები, დირექცია, პედაგოგები,გამორჩეულად,ახალი სპექტაკლით ხვდებიან შობის დღესასწაულს. წელსაც არ უღალატეს ტრადიციას და 9 იანვარს გიმნაზიელებმა დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინეს ანზორ სალუქვაძის ზღაპრის „შეთე და ცისყამარის" მიხედვით დადგმული სპექტაკლი „იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი".

დარბაზში შეკრებილ სასულიერო პირებს,მოწვეულ სტუმრებს მიესალმა სკოლა-გიმნაზიის დირექტორი ნინო ჯანჯღავა და შობა-ახალი წელი მიულოცა.

სპექტაკლის მომზადებაზე მუშაობდნენ სამონაზვნე-მორჩილი ნინო(მგალობლიშვილი), მზია ჩემია, მუსიკალური გამფორმებლები-შორენა გრიგოლია, დიმიტრი კაკულია, ქორეოგრაფი –ვალერი დემურია, დეკორაციების მხატვარი-მაკა მაკალათია.

სპექტაკლის მონაწილე პატარა მსახიობებმა შეძლეს მთავარი სათქმელის მაყურებლებამდე მიტანა. სპექტაკლის პერსონაჟებს ანსახიერებდნენ: გიორგი-ილია რეკვავა, ზაქარია- გიორგი ტყებუჩავა, თედოლუკა ნაკაშია,ვაჟია- დუტა ჩიქობავა,შალვა- გიორგი ჯანაშია, გელა-დაჩი კობახიძე, ალექსი- გიგი გუგუნავა, პავლია- გიორგი გეგენავა, შეთე- დავით ნინუა, შურხელმწიფე- გურამ კილასონია, ცისყამარი-ელენე ნაკაშია, ვეზირი-ლევან წანტურია, უცხო ქვეყნის უფლისწული- ანზორ კოკაია. დეკლამატორები: ნინო ძიგუა, მარიამ კიტია, მარიამ ვეფხვაძე, დეა ლაკია, კესო კუპრეიშვილი, მარიამ სახოკია, ანეტი ბერაია, სალომე ლაბახუა, მარიამ ბახტაძე. ეპიზოდებში: გიორგი მალანია, დავით მალანია, გიგი იკუჯავა, ანანო წულეისკირი, ანანო კალანდარიშვილი, მარიამ სახოკია, მეგი მურდულია, ანა ბჟალავა, გიორგი სიჭინავა, ედა კოკაია, ლიკა კოკაია, ნია შეროზია, სიდონია ჭანტურია, რატი სიმონია, ალექსი ტყებუჩავა, დავით გულბანი, სანდრო ლაშქარავა. სპექტაკლში უხვად იყო ჩართული ქართული საგალობლები და ქორეოგრაფიული ნომრები.

მთავარი როლებისა და ეპიზოდების შემსრულებლებმა შესანიშნავად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. დამსწრეთ თვალწინ გააცოცხლეს ზღაპრის გმირები.

სპექტაკლი დასრულდა შობა-ახალი წლის საგალობელით „ალილო".

ორიგინალური კოსტიუმებით, საუკეთესო მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრებით დამშვენებულმა სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

სპექტაკლი დადებითად შეაფასა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) და მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, მონაწილეებს, მოწვეულ სტუმრებს. მეუფემ ქრისტეშობის დღესასწაული მიულოცა მათ და დალოცა გიმნაზიის აღსაზრდელები, პედაგოგები, სტუმრები. ისურვა, რომ თითოეული ადამიანის სულში იშვას უფალი. არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს ჭეშმარიტი გზა, უფლის გზა.

სპექტაკლს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, საპატრიარქოს ტელევიზიის დირექტორი მამა მიქაელი (ფოფხაძე), ლევან სალუქვაძე (ანზორ სალუქვაძის შვილი), ვატო ქავთარაძე, ლელა მუჯირი, სასულიერო პირები, კულტურისა და ახალგაზრდობის ცენტრის მუშაკები, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სპეკტაკლში მონაწილე მოსწავლეები გამოირჩეოდნენ კარგი მეტყველებით, სასიმოვნო დიქციით, თეატრალური ნიჭით, გარდასახვის შესაშური უნარით.

ვულოცავთ სკოლის დირექციას, პედაგოგებს, მოსწავლეებს შობა-ახალ წელს, ვუსურვებთ წარმატებებს, უფლის წყალობა არ მოკლებოდეთ.

მაია გერგაია

საშობაო ნაძვი

წმინდა დღესასწაული ღამე ჩამოეშვა დედამიწაზე და ადამიანებს დიდი სიხარული მოუტანა. ბეთლემში მაცხოვარი დაიბადა. მხოლოდ ადამიანებს და ცხოველებს კი არა იმ ღამით დაბადებული იესოს ნახვა მცენარეებსაც სურდათ. ხეებმა ტოტები გამოიწოდეს. ბალახებმა თავი ასწია. ცდილობდნენ საბძელის შიგნით შეეხედათ, რომელიც წმინდა სამლოცველოდ გადაიქცა.

ყველაზე ბენიერად თავს სამი ხე გრძნობდა. ისინი სწორად შესასვლელთან იდგნენ. აქედან კარგად მოჩანდა ჩვილი, რომელსაც მკრთალი შარავანდედი ეფენებოდა, ციდან ანგელოზთა გუნდი დაჰხაროდა. ეს ხეები იყვნენ ტანწერწეტა პალმა, უმშვენიერესი სურნელოვანი ზეთისხილი და უბრალო მწვანე ნაძვი.

- წამოდით ჩვენც ვეთაყვანოთ ღვთიურ ყრმას და ჩვენ ჩვენი ნობათი მივირთვათ-მიმართა ზეთისხილს პალმამ.

- მეც წამიყვანეთ! მორცხვად სთხოვა ნაძვმა.

- შენ რაღა გნებავს? -ზიზღნარევი მზერით შეათვალიერა ამაყმა პალმამ?

- მაინც რა ნობათს მიართმევ ღვთიურ ბავშვს? რა გაგაჩნია? მხოლოდ ჩხვლეტია ნემსები?

საწყალი ნაძვი დადუმდა და მორჩილად დაიხია უკან. ვედარ გაბედა ღვთიური შუქით განათებულ საბძელში შესვლა.

ანგელოზს ესმოდა ხეების საუბარი, შენიშნა პალმისა და ზეთისხილის სიამაყე და ნაძვის თავმდაბლობაც , შეეცოდა ის და გადაწყვიტა დახმარებოდა .

დიდებულმა პალმამ თავი დახარა ყრმის წინაშე და ფერხთით მშვენიერი ფოთოლი დაუდო.

- დაე, ცხელ დღეებში სიგრილე და შვება მოგეფინოს!-თქვა მან. ახლა ზეთისხილმა დახარა ტოტები, საიდანაც სურნელოვანმა ზეთმა დაიწყო წვეთა და საბძელს კეთილსურნელება მოჰფინა.

დაღონებული შეჰყურებდა მათ ნაძვი. „ისინი მართალს ამბობენ" ფიქრობდა ის. მათ როგორ შევედრები!" მაგრამ ანგელოზმა ასე მიმართა, ნუ მოიწყენ ძვირფასო ნაძვო, შენ უკეთ მოგრთავ და ცას ახედა. ბნელი ცა ბრჭყვიალა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, ანგელოზმა მისცა ნიშანი და ვარსკვლავები ფრენით დაეშვნენ ნაძვის ტოტებზე. სულ მალე ის ათასფერი შუქით აციმციმდა. როდესაც ღვთიურმა ყრმამ გაიღვიძა,ზეთისხილის სურნელებამ და პალმის დიდებულმა ფოთოლმა კი არ მიიქცია მისი ყურადღება, არამედ მოელვარე ნაძვის ხემ, გაიღიმა და ხელები მისკენ გაიშვირა. ნაძვს გაუხარდა, მაგრამ არ გაამაყებულა და თავისი თავისი შუქით ცდილობდა შერცხვენილი ზეთისხილი და პალმის ხეები გაეცისკროვებინა. ბოროტებას მან სიკეთით უპასუხა.

ანგელოზმა ეს დაინახა და თქვა: შენ სიკეთე გამოიჩინე და ამისათვის დაჯილდოვდები:

ყოველ ახალ წელს, ამ დროს, როგორც ახლა, ათასფერი შუქით იციმციმებ და შენი შემხედვარე ბედნიერი ბავშვები იმხიარულებენ, უმშვენიერესი ზეიმის დედოფალი გახდები!

„საშობაო მოთხრობების კრებული"

„მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს, არის ცოდნა და განათლება„

კარგი სკოლა – წარმატებული მავშვები.

ᲐᲜᲐ ᲩᲘᲭᲝᲕᲐᲜᲘ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲩᲘᲭᲝᲕᲐᲜᲘ

ᲚᲘᲚᲘᲙᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ

ᲒᲕᲐᲜᲪᲐ ᲚᲝᲛᲘᲐ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲠᲘᲒᲝᲚᲐᲘᲐ

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ

ᲗᲔᲝᲛᲣᲠᲐᲖ ᲙᲝᲠᲨᲘᲐ

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲑᲐᲑᲘᲡᲙᲘᲠᲘᲐ

ᲐᲜᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲐ

ᲒᲕᲐᲜᲪᲐ ᲞᲐᲠᲙᲐᲘᲐ

ᲐᲜᲘ ᲔᲯᲘᲑᲘᲐ

სკოლის შერჩევა მშობლებისათვის ერთ-ერთი ყველაზე რთულად მოსაგვარებელი საკითხია. სამწუხაროდ ზოგადად განებივრებული არ ვართ მაღალი დონის განათლებითა და ხარისხიანი საჯარო სკოლებით. კარგი სკოლა ეს არის კარგად გამართული პროგრამა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კვალიფიციური, ძლიერი მასწავლებლები და მომზადებული მოსწავლეები. ჩვენს რაიონში ასეთ სკოლად ითვლება სენაკის მე-2 საჯარო სკოლა, რომელიც არის დიდი ისტორის მქონე. აქ არაერთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე აღზრდილა. ასეთი არის ეროვნული გმირი ჟიული შარტავა, რომლის სახელსაც ატარებს სკოლა. სწორედ ამ სკოლის წარმატებებსა და წარმატებულ მოსწავლეებზე გიამბობთ დღევანდელ ნომერში.

ჩვენ ვესაუბრეთ სკოლის დირექტორს ბატონ დემნა ჭანტურიასა და მე-10 (ა) და (ბ) კლასების დამრიგებლებს, ქალბატონ ნანა გვარამიასა და მარინე ჯოჯუას.

დემნა ჭანტურია, სკოლის დირექტორი

ბატონო დემნა, რა შეგიძლიათ გვითხრათ სკოლის წარმატებებსა და ზოგად პრობლემებზე?

სკოლა რამდენად წარმატებულია ამას აფასებს საზოგადოება, ამიტომ ცოტა მიჭირს საკუთარი სკოლის წარმატებებზე ლაპარაკი, მაგრამ ფაქტს ვერ გავექცევით. ჩვენი სკოლა აქტიურად არის ჩაბმული სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესებში. გვყავს ძალიან ბევრი კარგი მოსწავლე, რომლებიც ჩაბმულნი არიან სხვადასხვა ტურებსა და შემეცნებით კონფერენციებში. მაგალითად შარშან 42 ბავშვი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელებში გრანტებით. წელს მე-11 კლასში კი არის 11 მედალოსანი და 10 კომპიუტერის კანდიდატი. სწორედ ეს მოწმობს იმას, რომ სკოლა გამართულად მუშაობს. ჩვენთან სისტემატიურად მაღლდება პედაგოგიური კოლექტივის დონე. გვყავს საკმაოდ გამოცდილი და მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც ძალიან ბევრს მუშაობენ, როგორც მოსწავლეებთან ასევე საკუთარ თავზე, რათა უფრო მომზადებულნი შევიდნენ ბავშვებთან.

რაც შეეხება პრობლემებს. ისეთი პრობლემა არ გვაქვს, რომ ვერ მოვაგვაროთ და შევაწუხოთ მუნიციპლიტეტის ხელმძღვანელობა და განათლების სამინისტრო. ჩვენი პრობლემა ცოტა გლობალურია ეს არის ფართი. ამჟამად სკოლაში 800-მდე ბავშვი სწავლობს. მსურველი ჩვენს სკოლაში შემოსვლის ან გადმოსვლის ძალიან ბევრია. ფაქტობრივად სკოლას იმის პოტენციალი აქვს, რომ ერთი იმდენი ბავშვი მიიღოს, მაგრამ სამწუხაროდ ფართი არ გვიწყობს ხელს. არ გვაქვს სპორტდარბაზი.

გარდა ამისა სასურველი იქნებოდა, რომ გარემონტებულიყო სკოლის ფასადი, დერეფნები, რადგან ქალაქის ცენტრია, საჩვენებელი სკოლაა, ბევრი სტუმარი ჩამოდის. მისასალმებელი იქნებოდა, მოიძიებულ იქნას სახსრები შემოწირულობის ან დამატებითი დახმარების სახით.

მარინე ჯოჯუა მე-10 (ა) კლასის დამრიგებელი

ჩვენს სკოლას აქვს დიდი ისტორია. აქ არაერთ ძველი და ახალი თაობის გამოჩენილ და ცნობილ პიროვნებებს უსწავლიათ. მე თავად მაქვს ეს სკოლა დამთავრებული და მეამაყება, რომ აქ ვასწავლი. გვაქვს ყველანაირი პირობა იმისათვის, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები ვიყოთ კარგები და ასეც არის. ბავშვების უმრავლესობა არიან მოტივირებულნი, ჩამოყალიბებულნი და დამოუკიდებელნი. ეს არის ძალიან დიდი ბედნიერება მასწავლებლისთვის, კერძოდ დამრიგებლისთვის. გვაქვს ძალიან მეგობრული დამოკიდებულება მშობლებთან. ჩვენ ერთობლივად ვაგვარებთ ყველა იმ პრობლემას, რასაც ვაწყდებით სასწავლო და არასასწავლო პროცესის დროს. ამას ხედავენ ბავშვებიც და შესაბამისად ერთმანეთში აქვთ კეთილმეგობრული და თბილი დამოკიდებულება. ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ მე-10 (ა) და (ბ) კლასი არის ძლიერი და ყოველმხრივ მოწესრიგებული. ნამდვილად საამაყოა, როცა ასეთი ჯგუფის დამრიგებელი ხარ.

ნონა გვარამია მე-10 (ბ) კლასის დამრიგებელი

შემიძლია დავამატო მხოლოდ ის, რომ მე ყოველდღე ვარ ბედნიერი, როცა შევდივარ ამ ბავშვებთან და დღის უმეტეს ნაწილს ვატარებ მათთან. ეს არის ჯგუფი ბავშვებისა, რომელთაც შეუძლიათ დამოუკიდებლად დამატებითი ინფორმაციების მოძიება. ებადებათ უამრავი ძალიან საინტერესო კითხვა, რაც უფრო მრავალფეროვანს ხდის გაკვეთილის მსვლელობის პროცესს. ჩემი ბავშვები ხშირად ღებულობენ მონაწილეობებას სხვადასხვა შემეცნებით კონფერენციებსა და ოლიმპიადებზე. ხშირად ვატარებთ ღია გაკვეთილებს. გარდა იმისა, რომ ბავშვები არიან დაკავებულნი სასწავლო პროცესით, ისინი აქტიურად არიან ჩაბმულნი კულტურულ აქტივობებში. უმრავლესობას აქვს მუსიკალური განათლება, ცეკვავენ, მღერიან და ასე შემდეგ... ანუ ზოგადად არიან შემოქმედებითი ბავშვები. მიუხედავად იმისა, რომ არის ორი განაყოფი პარალელური ჯუფი მე-10 (ა) და (ბ). ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს ერთმანეთის გარემოცვაში და ერთობლივად გეგმავენ ღონისძიებებსა, თუ სხვადასხვა აქტივობებს. ერთი სიტყვით შემიძლია თამამად ვთქვა, რომ სკოლა არის ერთ-ერთი საუკეთესო ჩვენს რაიონში.

ახლა გვინდა მკითხველს გავაცნოთ იმ მოსწავლეთა მისწრაფებები და უნარები, რომელთაც გადაეცათ კომპიუტერები.

ალექსანდრე ჩიქოვანი – არის ნიჭიერი, ჭკვიანი, მოწესრიგებული. მეგობრული და თავაზიანი, როგორც თანაკლასელებთან ასევე უფროსებთან. აქტიურად მონაწილეობს სასკოლო და კლასგარეშე ღონისძიებებში. არის სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციებისა და ოლიმპიადების გამარჯვებული. დამთავრებული აქვს სამუსიკო სკოლა. წერს ლექსებს, ცეკვავს კარგად.

ანა ჩიქოვანი – მონდომებული და ინტერესიანია, აქვს სხარტი გონება ყველა საგანს სწავლობს ერთნაირად. თავისი ძმის მსგავსად ანა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციებისა და ოლიმპიადების არაერთგზის გამარჯვებულია. დამთავრებული აქვს სამუსიკო სკოლა. ცეკვავს კარგად.

მარიამ გაბესკირია,-- გამორჩეულად უყვარს ჰუმანიტარული დისციპლინები, ასევე ყურადღებით ეკიდება ტექნიკური საგნების შესწავლას, გამოირჩევა ინდივიდუალურობითა და პასუხისმგებლობის გრძნობით, დამთავრებული აქვს მუსიკალური სკოლა.

ირაკლი გრიგოლაია – კარგად სწავლობს ჰუმანიტარულ საგნებს, არის მეგობრული, უყვარს სპორტი (ფეხბურთი) აქტიურად მონაწილეს სასკოლო შეჯიბრებებში.

ლილიკა გვარამია – ფიზიკურად და გონებრივად კარგად განვითარებული მოსწავლეა, ზრდილობიანი და თავაზიანი, ერთერთნაირ დამოკიდებულებას იჩენს ყველა სასწავლო დისციპლის შესწავლისადმი.-. ცეკვავს სახალხოქორეოგრაფიულ ანსამბლ „მეგაში“ აქვს თეატრალური ნიჭი. მონაწილეობს სპექტაკლებში.

თამარ ჩხიკვაძე – სწავლობს კარგად. იცის, რომ წარმატება მონდომებით და ბეჯითი მეცადინეობით მიიღწევა, განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენს ტექნიკური საგნებისადმი უყვარს ცეკვა.

ანა მამულია -- ყველა საგანს სწავლობს კარგად. პატივს სცემს უფროსებს, განსაკუთრებით ჰუმანიტარული საგნები უყვარს, მოსწონს მშობლიური სკოლა, მასწავლებლები, თანაკლასელები.

გვანცა ლომია – უპირატესობას ანიჭებს ტექნიკურ საგნებს, შეუძლია სწრაფად აზროვნება, გვანცა მონაწილეობს სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, საგნობრივ ოლიმპიადებში, უყვარს ხელოვნება, ცეკვა, აქვს მუსიკალური განათლება.

გვანცა პარკაია – იზიდავს ჰუმანიტარული საგნები, მისი საყვარელი საგანია ინგლისური, მიდრეკილებას იჩენს უცხო ენების შესწავლისადმი, დამთავრებული აქვს სამუსიკო შვიდწლედი. არის ოლიმპიადებისა და კონფერენციების გამარჯვებული. მიღებული აქვს დიპლომები და სერთიფიკატები.

ანი ეჯიბია -- უყვარს ჰუმანიტარული საგნები, მისი საყვარელი საგნებია ქართული და რუსული. დამთავრებული აქვს სამუსიკო სკოლა 7 კლასი. დაჯილდოებულია სერთიფიკატებით ოლიმპიადებზე მიღწეული წარმატებებისთვის.

თეომურაზ კორშია – აქვს ტექნიკური დისციპლინების შესწავლის ნიჭი. მისი საყვარელი საგანია მათემატიკა. გატაცებულია სპორტით, კერძოდ ფეხბურთით. წარმატებული თამაშებისთვის მიღებული აქვს ჯილდოები, დიპლომები.

ნათია შალამბერიძე – იზიდავს ტექნიკური დისციპლინები, მისი საყვარელი საგანია ინგლისური, დამთავრებული აქვს სამუსიკო სკოლის შვიდწლედი. აქტიურად მონაწილეობს ოლიმპიადებში, ვიქტორინებში, სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციებისა და ოლიმპიადების გამარჯვებულია.

„სკოლა ორპირი ხანჯალია; აუკეთესებს და ასპეტაკებს ხალხს, თუ იგი გონივრულად არის მოწყობილი; აუგუნურებს და აველურებს, თუ უკუდმართობის გზაზედ არის დაყენებული.“ – ბრძანა ჩვენმა დიდმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა. მართლაც, რომ სკოლა არის ერთ-ერთი პირველი ოჯახის შემდეგ, ვინც აყალიბებს და ცხოვრების სწორ მიმართულებას აძლევს მომავალ თაობას.

ალბათ ყველა მშობლის სურვილია, საჯარო სკოლები, რომელიც გათვალისწინებულია ყველა სოციალიური ფენისათვის იყოს სწორად გამართული და კვალიფიციური მასწავლებლებით დაკომპლექტებული. სამწუხაროა, რომ ყოველთვის ასე არის, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მისასალმებელია ასეთი წარმატებული და აქტიური სკოლის არსებობა.

წარმატებას ვუსურვებ სკოლის დირექციას, პედაგოგებს, მოსწავლეებს. აღიარება მონდომებას და საქმის სიყვარულს მოქვს. ეროვნული გმირის სახელის მატარებელი სკოლა მომავალშიც პროფესიული ერთგულებით გაუყვება სირთულეებით, მაგრამ ამავე დროს წარმატებებით აღსავსე გზას.

მომზადა მარიკა შამათავამ